საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 35
28/07/2020

35-07-4-202007281303

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №35
2020 წლის 28 ივლისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე N1 შენობის (ს.კ 27.06.52.141) მეორე სართულზე არსებული 14,38 კვ.მ N16 ფართი) ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის" (ს/კ 202051536) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო